

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მოსაზრება	3
მოსაზრების საფუძველი	3
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	9
რისკის მართვა	21
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
სასამართლო დავები	23
საწარმოს უწყვეტობის განხილვა	23
ბალანსის შემდგომი მოვლენები	23
მმართველობითი ანგარიშგება	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

ლელა ბექაური

15 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	2,838,839	2,479,734	2,760,397
საინვესტიციო ქონება	4	-	92,544	82,262
არამატერიალური აქტივები	5	6,704	4,446	9,047
სულ გრძელვადიან აქტივები		2,845,544	2,576,725	2,851,705
მიმდინარე აქტივები				
გადახდილი გადასახადები	-	310,946	527,139	283,749
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	66,516	114,948	182,905
გადახდილი ავანსები	7	69,864	148,096	227,023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	236,445	228,319	955,766
დეპოზიტი ბანკში	8	3,414,840	9,810,397	6,651,909
ფული და ფულის ექვივალენტები	8	1,642,237	3,671,123	5,011,300
სულ მიმდინარე აქტივები		5,740,848	14,500,022	13,312,652
სულ აქტივები		8,586,391	17,076,747	16,164,357
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		8,260,500	16,329,029	14,947,515
სულ კაპიტალი		8,262,500	16,331,029	14,949,515
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	85,855	534,874	783,732
მიღებული ავანსები	9	238,036	209,593	427,406
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	1,251	3,703
სულ მიმდინარე ვალდებულებები		323,891	745,717	1,214,842
სულ ვალდებულებები		323,891	745,717	1,214,842
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		8,586,391	17,076,747	16,164,357

გენერალური დირექტორი

15 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	35,471,369	52,237,412
სხვა საოპერაციო შემოსავალი			31,904
მთლიანი მოგება		35,471,369	52,269,316
მიწოდების ხარჯი	11	(24,726,051)	(34,868,158)
საოპერაციო ხარჯები	12	(1,024,534)	(1,033,072)
ხელფასის ხარჯი		(1,667,148)	(2,612,380)
ცვეთის ხარჯი		(323,256)	(361,391)
საოპერაციო მოგება		7,730,380	13,394,315
არასაოპერაციო შემოსავალი		70,496	243,000
ფინანსური შედეგი ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან		(3,235)	(46,984)
საპროცენტო შემოსავალი		148,466	367,789
მოგება-ზარალი საკუროსო სხვაობიდან		382,573	1,014,888
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		598,300	1,578,693
მოგება დაბერგვრამდე		8,328,680	14,973,008
მოგების გადასახადი		(8,467)	(496,429)
წმინდა მოგება		8,320,213	14,476,579
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		8,320,213	14,476,579

გენერალური დირექტორი

15 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა
 ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	8,260,500	8,262,500
წმინდა მოგება		8,320,213	
დივიდენდის განაწილება	-	(251,684)	
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	16,329,028	16,331,028
წმინდა მოგება		14,476,579	
დივიდენდის განაწილება		(15,858,094)	
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	14,947,514	14,949,514

გენერალური დირექტორი

15 სექტემბერი 2020
 თბილისი, საქართველო

შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2018	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	8,320,213	14,476,579
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	8,467	496,429
ცვეთის ხარჯი	323,256	361,391
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(382,573)	(1,014,888)
ანარიცხების დარიცხვა/ამოტრიალება	-	7,313
ფინანსური შემოსავალი	(148,466)	(367,789)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	8,120,897	13,957,914
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	199,282	(592,718)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(48,433)	(67,957)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(78,232)	(78,927)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	(224,660)	(253,039)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(28,444)	217,814
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	336,790	57,854
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	8,277,201	13,242,061
მიღებული საპროცენტო სარგებელი	148,466	367,789
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	8,425,666	13,609,850
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(54,437)	(636,371)
ცვლილებები დეპოზიტებში	(6,387,387)	3,382,820
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6,441,824)	2,746,449
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	(251,684)	(15,858,094)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(251,684)	(15,858,094)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	296,727	841,971
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	2,028,885	1,340,177
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	1,642,237	3,671,123
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	3,671,122	5,011,300

გენერალური დირექტორი

15 სექტემბერი 2020
 თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2004 წლის 21 ივნისს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ბარათაშვილის ქ. N4, ფაქტიური მისამართი ქ. თბილისი ინგოროყვას N4. ორგანიზაციის დირექტორი და ას პროცენტიანი წილის მფლობელი არის ალექსანდრე მამულაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ქვეყნებიდან: ინგლისიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, რუსეთიდან, იაპონიიდან, ჩინეთიდან და სხვა. კლიენტების მოძიების მიზნით, კომპანია აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნების ტურისტულ გამოფენებზე, სადაც აცნობს და სთავაზობს თავის სერვისებს უცხოურ კომპანიებს. კომპანია ასევე ახორციელებს ადგილობრივი ტურების გაყიდვას საქართველოს ტერიტორიაზე.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს („ზასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე. როგორც ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაშია განხილული ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - COVID 19 -ის გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმაზე დაყრდნობით, ჩვენ მოველით გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ ეს არ შეუქმნის რისკს კომპანიის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.8766
ლარი/1 ევრო	3.0701	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ წაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი -სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტი. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის და სადეპოზიტო ფულადი სახსრებისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები და დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, ვიანიდან ისინი ჩამოწერილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში და მიმდინარე მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი მოიცავს საწვავს, რომლის ხარჯვა ხორციელდება გაწეული ტურისტული მომსახურების უზურუნველსაყოფად და ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია მიწოდების ხარჯად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. ორგანიზაციის მომსახურების არსებითი ნაწილი განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან, ვინაიდან დაკავშირებული ტურისტულ მომსახურებასთან. საანგარიშო პერიოდში ჩათვლილი დამატებითი ღირებულების გადასახადი დაბრუნებულია საგადასახდო ორგანოსგან მიმდინარე პერიოდში.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შემზღუბება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივიმეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

• შენობები	5
• კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	20
• ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5
• სატრანსპორტო საშუალებები	7-20
• იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
• სხვა ძირითადი საშუალებები	5-33

საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონება რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზანს ერთად, და კომპანიის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. თუ არსებობს რაიმე ინდიკატორი, რომ საინვესტიციო ქონება შესაძლოა იყოს გაუფასურებული, კომპანია აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ჩამოიწერება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალრულ შეფასებში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზირდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდიდება და თუ შესაძლებელია დანახარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა სხვა რემონტის და მოვლა-შენახვის ყველა სხვა დანახარჯი გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე დაიწყებს საინვესტიციო ქონების გამოყენებას საკუთარ საოპერაციო საქმიანობაში, ასეთი ქონება გადადის საინვესტიციო ქონებიდან ძირითად საშუალებებში.

მენეჯმენტი არ ახორციელებს საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებით შეფასებას ვინაიდან აღნიშნული ქონება წარმოადგენს მოძველებულ და გაცვეთილ საიჯარო შენობას და მისი რეალური ღირებულება არსებითად არ არის განსხვავებული ისტორიული ღირებულებისგან და გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არა არსებითია.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

კომპანია ტურისტული პაკეტის მიღებული შეკვეთისათვის განსაზღვრავს ფასს და შესაბამის ინვოისს უგზავნის მომხმარებელს, ძირითადად ტურისტული პაკეტის უშუალოდ განხორციელებამდე ხდება მომხმარებლის მიერ თანხის გადახდა, რომელიც მიღებულ ავანსებში აღირიცხება. არის შემთხვევები როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია გასწევს ტურისტული პაკეტის მომსახურებას, რომელიც ინვოისის საფუძველზე დებიტორულ დავალიანებად აღირიცხება. შემოსავლის აღიარება ხდება ტურისტული პაკეტის დასრულების შემდეგ ტურისტული პაკეტის დასრულების თარიღით.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები: ახალი სტანდარტები, რომლებიც 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენას არ ახდენს არის

- ფასს 16 - იჯარა;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები ;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით ;
- შესწორებები ბასს 28 - გრძელვადიანი წილები ასოცირებულ პირებსა და ერთობლივ საწარმოებში;

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი .

- შესწორებები ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება;
- ფასს 23 - მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვეველობა ;
- ფასს 10 - ცალკეული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)

საანგარიშო პერიოდში ძალაში შესული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები გავლენას არ ახდენს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალმა და შეცვლილმა სტანდარტებმა, რომლებიც ბასსკ-მა გამოუშვა და გამოყენებულ იქნება შემდგომი წლის ანგარიშგებაში, არაა მოსალოდნელი, რომ გავლენა იქონიონ კომპანიაზე რამდენადაც ისინი ან არ არის რელევანტური კომპანიის საქმიანობისთვის ან ისეთ აღრიცხვას საჭიროებენ, რომელიც თანხვედრაშია კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ისეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 3 - საინვესტიციო ქონება და ძირითადი საშუალებები

საწყისი ღირებულება

	საინვესტიციო ქონება	მიწა	შენობა-ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა	ავტომობილები და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები
ბალანსი 31/12/2017	110,888	331,721	1,268,201	3,842	8,974	1,045,280	69,933
დანამატები	-	-	-	10,619	21,654	-	24,660
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	(1,985)	-	-	(4,159)
ცვეთა პერიოდისათვის	(10,283)	-	(85,084)	(1,833)	(4,469)	(199,236)	(20,093)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	1,985	-	-	1,664
ბალანსი 31/12/2018	100,605	331,721	1,183,117	12,629	26,159	846,044	72,004
დანამატები	-	-	-	5,853	17,166	531,834	80,554
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	(3,600)	-	(517)
ცვეთა პერიოდისათვის	(10,283)	-	(85,084)	(6,324)	(5,511)	(219,862)	(34,327)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	480	-	-
ბალანსი 31/12/2019	90,323	331,721	1,098,033	12,158	34,694	1,158,016	117,715
ბალანსი 31/12/2018	100,605	331,721	1,183,117	12,629	26,159	846,044	72,004
ბალანსი 31/12/2019	90,323	331,721	1,098,033	12,158	34,694	1,158,016	117,715

შენიშვნა 4 - საინვესტიციო ქონება და მისგან მიღებული შემოსავალი

პერიოდის ბოლოს ბალანსზე არსებული საინვესტიციო ქონება მოიცავს უძრავ ქონებას ბარათაშვილის N7 ნომერში და მისგან მიღებულ საიჯარო შემოსავლებს, რომელიც იჯარით გაცემულია 2019 წლის თებერვლიდან და მისგან მიღებული შემოსავლები არ არის შესადარისი გასულ საანგარიშო პერიოდთან.

საწყისი საბალანსო ღირებულება	205,654
აკუმულირებული ცვეთა	(105,049)
დანამარტი	-
ჩამოწერა	-
პერიოდის ცვეთა	(10,283)
ბალანსი 31/12/2019	90,322
საინვესტიციო ქონების იჯარის მიღებული შემოსავალი	11,291

შენიშვნა 5 - არამატერიალური აქტივები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული არამატერიალური აქტივის არსებითი ნაწილი მოიცავს იმ პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს, რომელშიც კომპანია აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობას.

	პროგრამული უზრუნველყოფა
საწყისი ღირებულება	
ბალანსი 31/12/2017	6,704
დანამატი ცვეთა პერიოდისათვის	(2,258)
ბალანსი 31/12/2018	4,446
ცვეთა პერიოდისათვის	(2,288)
ბალანსი 31/12/2019	2,158
ბალანსი 31/12/2018	4,446
ბალანსი 31/12/2019	2,158

შენიშვნა 6 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	12/31/2018	12/31/2019
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	114,948	182,905
სულ ნედლეული და მასალები	114,948	182,905

შენიშვნა 7 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2018	12/31/2019
სავაჭრო მოთხოვნები	230,625	961,930
გადახდილი ავანსები	148,096	227,023
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	3,455
ანარიცხის დარიცხვა	(2,306)	(9,619)
სულ დებიტორული დავალიანება	376,415	1,182,789

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

მოთხოვნები	სავაჭრო მოთხოვნები - ვადაგადაცილებული დღეები			
	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	961,930	1%	(9,619)	952,310
0-30 დღის ვადაგადაცილება	-	15%	-	-
30-60 დღის ვადაგადაცილება	-	30.00	-	-
60-180 დღის ვადაგადაცილება	-	45.00	-	-
180-360 დღის ვადაგადაცილება	-	100%	-	-
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	17,131	100%	(17,131)	-
შემცირებული გაუფასურების რეზერვით			(26,750)	
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	979,060			952,310

ორგანიზაცია გაწეული მომსახურების შესაბამის ანაზრაურებას იღებს მომსახურების გაწევამდე ავანსის სახით. საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნები არა არსებითია შემოსავალთან მიმართებაში. ორგანიზაციის სააღრიცხო პოლიტიკა მოიცავს ყველა ვადაგადაცილებული მოთხოვნის სრულად დარეზერვებას, ვინაიდან მისი არსებითი ნაწილი წარმოქმნილია გაწეული მომსახურების შესაბამისად მიღებული საკონპენსაციო თანხის გადმორიცხვისას საშუალოდ ბანკის მიერ დატოვებული პროცენტებით, რომლის ანაზრაურებაც ხშირ შემთხვევაში არ ხორციელდება დამკვეთის მიერ. მენეჯმენტი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაიხილავს მოთხოვნების შინაარსს და აღნიშნული ოპერაციებით წარმოქმნილ მოთხოვნებს არეზერვებს 100%.

შენიშვნა 8 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე. ასევე ორგანიზაციას განთავსებული აქვს ფულადი სახსრები ვადიან და მიმდინარე სადეპოზიტო ანგარიშებზე.

შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	12/31/2018	12/31/2019
ლარი საბანკო ანგარიშებზე	16,891	34,521
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	3,752,271	5,025,676
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	9,810,397	6,651,909
დეპოზიტზე დარიცხული ანარიცხი	(99,095)	(67,191)
ნაღდი ფული სალაროში	1,056	18,294
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	1,056	18,294
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	13,481,520	11,663,209

ფასს 9 გამოყენებით მენეჯმენტმა შეაფასა ვადიანი სადეპოზიტო თანხებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რისკები და მიღებული საკრედიტო ზარალი არიცხულია პერიოდის ანარიცხად.

	31 იანვარი 2019	ფასს 9-ის გამოყენების ეფექტი	31 იანვარი 2019
აქტივები			
ვადიანი დეპოზიტები საბანკო ანგარიშზე	6,719,100	(67,191)	6,651,909
სულ აქტივები	6,719,100	(67,191)	6,651,909
ხარჯი			
ანარიცხი	-	(67,191)	(67,191)
სულ პერიოდის ანარიცხის ხარჯი	-	(67,191)	(67,191)

შენიშვნა 9 - სავაჭრო ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2018	12/31/2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	534,874	786,175
გადასახდელი ხელფასები	2,392	1,261
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოს წინაშე	(1,141)	
მიღებული ავანსები	209,593	427,406
სულ მიმდინარე ვალდებულებები	745,717	1,214,842

შენიშვნა 10 -შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი შედგება შემდეგი ქვეყნებიდან შემოყვანილი ტურისტებისათვის გაწეული მომსახურებიდან მიღებული სარგებელისგან:

შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	12/31/2018	12/31/2019
გერმანია	11,332,034	18,872,561
იაპონია	3,891,036	3,695,225
რუსეთი	685,107	234,053
ავსტრალია	1,876,620	4,027,819
სომხეთი	1,223,782	1,492,705
ინგლისი	1,324,935	2,649,846
საფრანგეთი	1,158,062	2,231,505
ჰოლანდია	2,043,813	3,263,329
იტალია	1,434,347	1,565,412
ავსტრია	375,086	555,652
ისრაელი	442,115	456,657
დანია	529,542	511,943
შვეიცარია	340,828	1,396,388
შვედეთი	858,071	1,180,073
სხვადასხვა	8,002,667	10,293,828
უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(46,675)	(189,587)
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	35,471,370	52,237,412

შენიშვნა 11 - მიწოდების და მომსახურების ხარჯი

მიწოდების ხარჯები მოიცავს საანგარიშო პერიოდში ტურისტული მომსახურების გასაწევად დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს, რომლის ძირითადი ნაწილია სასტუმროს მომსახურება, ასევე ტურებთან დაკავშირებული საწვავის ხარჯი, გიდების შრომის ანაზღაურება და სხვა.

	12/31/2018	12/31/2019
სასტუმროს მომსახურების ხარჯი	10,933,856	16,631,427
ქვეკონტრაქტორი ტურისტული კომპანიების ხარჯი	6,459,712	8,818,374
ტურისტების სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	1,870,230	2,005,897
შრომის ანაზღაურება	1,605,076	2,951,821
საწვავის ხარჯი	908,418	1,173,151
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	758,466	1,060,870
სარეკლამო ხარჯი	141,624	189,587
მუზეუმების და ნაკრძალების მომსახურების ხარჯი	361,449	521,262
სატრანსპორტო საშუალებების იჯარის ხარჯი	1,638,371	1,376,943
მიწოდების სხვა ხარჯი	48,849	138,827
სულ მიწოდების ხარჯები	24,726,051	34,868,158

შენიშვნა 12 - საოპერაციო ხარჯები

	12/31/2018	12/31/2019
მივლინების ხარჯი	495,767	554,236
რემონტის ხარჯი	176,167	231,334
დაზღვევა	84,397	73,446
ანარიცხები	101,401	24,443
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	166,802	149,613
სულ საოპერაციო ხარჯები	1,024,534	1,033,072

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიამ დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცდილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცდილების სტატუსის საფუძველზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2019 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური მოგება საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის სავალუტო სახსრების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში განთავსებულ ფულად სახსრებს. რომელზეც გაზრდილმა გაცვლითმა კურსმა შესაბამისად გაზარდა პერიოდის ბოლოს დადებითი საკურსო სხვაობა.

მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
მმართველობითი ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31 დეკემბერი 2019		
	GEL	USD 1 = 2.8677GEL	EUR 1 = 3.2095 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	34,521	6,734,075	4,943,823
სავაჭრო მოტხოვნები	13,864	757,839	216,818
გადახდილი ავანსები	329,481	-	32,630
საგადასახადო მოტხოვნები	283,749	-	-
სულ ფინანსური აქტივები	661,615	7,491,914	5,193,272
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	181,674	505,943	29,953
მიღებული ავანსები	5,264	355,960	66,183
სულ ფინანსური ვალდებულებები	186,938	861,902	96,136

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

	გაწეული მომსახურება	მიღებული მომსახურება	გადახდილი თანხა
შპს ჯორჯიან დიემსი	97,429.47	2,500.00	82,852.53
შპს ნეპტუნ მენეჯმენტი	-	48,000.00	18,000.00

საანგარიშო პერიოდში დირექტორის მიერ გამომუშავებული სარგებელი, რომელიც მიღებულია ხელფასის სახით წარმოადგენს 164 223 ლარს.

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. როგორც ბალანსის შემდგომი მოვლენების ქვეთავშია აღწერილი 2020 წლის დასაწყისში მსოფლიოში გავრცელებულმა ვირუსმა Covid19-მა არსებითი გავლენა იქონია ტურისტულ ბიზნესზე. მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შეიზღუდა ტურისტული მომსახურების გაწევა, შეწყდა საერთაშორისო ფრენები და გაუქმდა დაგეგმილი ტურისტული მომსახურებები. აღნიშნულმა შეზღუდვამ არსებით გავლენა იქონია კომპანიის ოპერაციებზე, რადგან არსებითად შემცირდა პერიოდის დაგეგმილი შემოსავლები.

აღნიშნული შეზღუდვების მიუხედავად მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის გეგმები, ბალანსის შემდგომ პერიოდში სრულად შეინარჩუნა დასაქმებული თანამშრომლები და შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით გეგმავს 2021 წელს საქმიანობის გაგრძელებას. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიოში გავრცელდა ახალი ვირუსი Covid19 (კორონავირუსი). საქართველოში ვირუსის გავრცელება დაიწყო თებერვალში, რომლის შემდგომაც ეტაპობრივად განხორციელდა შეზღუდვების დაწესება. ვირუსი ინფექციის გავრცელების პრევენციისათვის მარტში ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შეიზღუდა ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის გაწევა, რომელიც არ იყო დაკავშირებული საკვები პროდუქციით მომარაგებასთან და სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების გაწევასთან. შეწყდა ყველა ქვეყანასთან საჰაერო მიმოსვლა, რამაც გამოიწვია ტურისტული სეზონის გაუქმება. ორგანიზაციის მიერ გაყიდული ყველა ტურისტული პაკეტი, რომლის მიწოდებაც უნდა განხორციელებულიყო 2020 წლის განმავლობაში, სრულად გაუქმდა და დაუბრუნდა მომხმარებლებს გადახდილი ტურის საფასური. აღნიშნულმა გარემოებამ არსებითი გავლენა იქონია 2020 წლის საანგარიშო პერიოდის ოპერაციებზე. მიუხედავად იმისა, რომ სამომავლო ეფექტების პროგნოზირება შეუძლებელია, მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ მომდევნო საანგარიშო პერიოდში შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას და კომპანიის ფუნქციონირებადობას რისკები არ შეექმნება.

მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია“ (ს/კ 204460172) (შემდეგში კომპანია), წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). დაფუძნებულია 2004 წლის 21 ივნისს. კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია ალექსანდრე მამულაშვილი. კომპანია მდებარეობს ქ. თბილისში, ინგოროყვას #4ა-ში.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობაა უცხოელი ტურისტების ჩამოყვანა საქართველოში და მათთვის ტურისტული მომსახურების გაწევა. ტურისტული პაკეტი გულისხმობს სასტუმროს, რესტორნის, მუზეუმის დაჯავშნას, კულტურული ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულებას და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. ასევე ტრანსპორტით და გიდით მომსახურებას. კომპანია ტურებს ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით და მომხმარებლებს სთავაზობს ისტორიულ ტურებს, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ისტორიული ძეგლების მონახულებას. მთის ტურებს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ლოკაციებზე კარვებით მომსახურებას, თემატურ ტურებს, როგორცაა ღვინის ტურები კახეთში, დედაქალაქის ტურებს, საზღვაო და ერთ დღიან ტურებს სხვადასხვა ქალაქებში. ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ თავად განსაზღვროს სასურველი მარშრუტი ან გამოიყენონ ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული სტანდარტული ტურები. ზოგ შემთხვევაში დამკვეთთა მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება ამიერკავკასიის ტურები, რა დროსაც ტურისტებს საშუალება აქვთ ერთი ტურის ფარგლებში მოინახულონ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ღირსშესანიშნაობები.

კომპანიის განვითარების გეგმები

ქვეყნის ეკონომიკა და განვითარება არსებითად დამოკიდებულია ტურისტული სექტორის განვითარებაზე, რაშიც სახელმწიფოს შეაქვს თავისი წვლილი ტურიზმის ხელშეწყობის მიმართულებით, რაც ძირითადად გულისხმობს რიგი გადასახადებისგან მის განთავისუფლებას. ასევე ტურისტულ ძეგლებზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს რათა ტურისტებისთვის უფრო მეტად მიმზიდველი გახადოს ქვეყანა.

კომპანიის სტრატეგიული განვითარების კურსი შესაბამისად ორიენტირებულია უფრო მეტი ტურისტის მოზიდვასა და მათთვის ხარისხიანი და მაღალი დონის მომსახურების მიწოდებაზე. ამ თვალსაზრისით, კომპანია მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით ცდილობს გაზარდოს აქტივები, როგორცაა მაგალითად სატრანსპორტო საშუალებები. საანგარიშო პერიოდში მენეჯმენტმა შეისყიდა ახალი, თანამედროვე და გაუმჯობესებული ავტობუსები, რომელიც დამატებით კომფორტს უქმნის ტურისტებს გადაადგილების დროს. ასევე მენეჯმენტის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა მოიცავს გასულ პერიოდებთან შედარებით უფრო მეტი ტურისტის მოზიდვას და შემოსავლების ზრდას, ახალი ბაზრების ათვისებას და მომსახურების პაკეტებში ისეთი ტურების დამატებას, რომელიც მოიზიდავს სხვადასხვა ინტერესების მქონე ტურისტებს.

გაყიდვების გასაზრდელად ეძებს ახალ გაყიდვების არხებს და ცდილობს მოიზიდოს ტურისტები ისეთი ქვეყნებიდან, რომლებიდანაც ტურისტი შედარებით ნაკლებია. ამ თვალსაზრისით მონაწილეობას ღებულობს გამოფენებზე, სადაც მონაწილე ქვეყნებს აცნობს საქართველოს და მის კულტურულ მემკვიდრეობებს.

კომპანიის კვლევები

გაწეული მომსახურების ხარისხის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ტურისტული პაკეტების ის შემადგენელი მომსახურებები, რომლის შესყიდვაც ხორციელდება პაკეტების შესაბამისად. ისინი ძირითადად მოიცავს სასტუმროების, რესტორნების, შატლების და სხვადასხვა სატრანსპორტო კომპანიების მომსახურებების შესყიდვებს.

ამ მიმართულებით ყოველწლიურად, ტურისტული სეზონის დაწყების წინ კომპანიაში ტარდება გარკვეული ტიპის კვლევები, რომლის მიზანია ადგილობრივი კომპანიების მიერ შემოთავაზებული მომსახურებების ხარისხის და მისი ფასთან შესაბამისობის კვლევა, ბაზარზე არსებული ახალი ობიექტების გაცნობა და ძველ მომწოდებლებთან სეზონის შესაბამისი სატარიფო პოლიტიკების შემუშავება. სასტუმროების და რესტორნების რანგირება კლასების მიხედვით.

გაყიდვების სამსახური ატარებს შემდეგი ტიპის კვლევებს:

- სასტუმროების მოძიება და კვლევა;
- რესტორნების მოძიება და კვლევა;
- მარნების, შატოების მოძიება და კვლევა;
- სატრანსპორტო საშუალებების მოძიება და კვლევა.

ამასთან ერთად განხორციელებული კვლევები და ანალიზი მოიცავს იმ ქვეყნების ტურისტული ნაკადების ანალიზს რომლიდანაც მოთხოვნა მზარდია. კომპანიის შესაბამისი სამსახური სწავლობს მომხმარებელთა ქცევას, მათ ინტერესებს, შემოსავლებს და შესაბამისად საზღვრავს მარკეტინგული აქტივობების საჭიროებას ქვეყნის პოპულარიზაციისთვის.

ძირითადი ფინანსური, არა ფინანსური მაჩვენებლები და დამატებითი ინფორმაცია

კომპანია ვიზიტ ჯორჯია არის ბაზარზე ლიდერი ტურისტული კომპანია, რომელიც ახორციელებს ტურისტების შემოყვანას საქართველოში. მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, მენეჯმენტმა შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და საიმედო ბრენდი საქართველოს ტურისტულ სფეროში, რომლის მიმართ ნდობა და ცნობადობა მაღალია უცხოურ პარტნიორებს შორის.

კომპანიის მომხმარებლების არსებითი ნაწილი მოიცავს ევროპული ქვეყნების ტურისტებს, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ორგანიზებულ ტურებს. გაყიდვების ძირითადი ნაწილი მოიცავს გერმანიის, იაპონიის, ჰოლანდიის, დიდი ბრიტანეთის, სკანდინავიის, ავსტრალიის და საფრანგეთის ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების ჯგუფებს. გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით არსებითად გაზრდილია სამხრეთ კორეის, შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის ქვეყნების ტურისტების შემოსვლა საქართველოში.

გაყიდვების მთლიანი მაჩვენებლის 36% მოიცავს გერმანელი ტურისტების მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რაც 5% აღემატება გასულ საანგარიშო პერიოდში იგივე ქვეყნიდან შემოსული ტურისტების რაოდენობას.

საქმიანობის შედეგების ეფექტიანობის გასაზომად მენეჯმენტი ახორციელებს შემოსავლების ანალიზს და მის შესადარისობა გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით. აუდიტირებული პერიოდში მიღებული შემოსავლები 47% არის გაზრდილი გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით.

ცხრილში მოცემულია შესადარისი პერიოდის კოეფიციენტები, რომელსაც მენეჯმენტი იყენებს საოპერაციო საქმიანობის შესაფასებლად:

	2019	2018
Trend analysis		
ცვლილებები შემოსავლებში	47%	52%
ცვლილებები საოპერაციო ხარჯებში	40%	45%
ცვლილება დაბეგვრამდე	80%	69%
მომგებიანობის კოეფიციენტები		
ერთობლივი შემოსავალი	47%	39%
საოპერაციო მოგება	26%	22%
წმინდა მოგება	29%	24%
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	55%	52%
აქტივების ბრუნვა	92%	50%
აქტივების ბრუნვა		
მოთხოვნების ბრუნვა	10.17	3.21
ვალდებულებების ბრუნვა	7.82	4.50
წმინდა კაპიტალის ბრუნვა	139.44	149.64

საანგარიშო პერიოდში კომპანიაში სრულ განაკვეთზე დასაქმებულია საშუალოდ --- თანამშრომელი, რომელთა შორისაც უფლება-მოვალეობები გადანაწილებულია შესაბამისად. კომპანია აცნობიერებს მათ წვლილს მიღებულ ფინანსურ და არა ფინანსურ შედეგებში და მუდმივად ორიენტირებულია მათ განვითარებაზე. პერიოდულად ახორციელებს თანამშრომელთა გადამზადებას და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს, რათა მოახდინოს შესაძლო ხარვეზების პრევენცია. მომსახურების შინაარსიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიდების და ტურის მძღოლების შესაბამისი ქცევები ტურების დროს, ამის შესაფასებლად კი მენეჯმენტი იყენებს მომსახურების ბოლოს შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემას. რა დროსაც მომხმარებლებს თავისუფლად შეუძლიათ გამოხატონ თავისი შეხედულებები და დააფიქსირონ მიღებული შთაბეჭდილებები.

კომპანიის რისკები

კომპანიის ფუნქციონირებას და ზრდას არსებით რისკებს უქმნის ქვეყნის წინაშე არსებული რისკები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს ტურისტების ქცევაზე და მათ ინტერესზე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე, საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში და მომწოდებელ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურად არა სტაბილურ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს როგორც გაყიდვებზე, ისე შესყიდვებზე. ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის მეზობელ ქვეყნებში არსებული საომარი მოქმედებები მნიშვნელოვნად ამცირებს მოთხოვნას და ტურისტების შემოსვლას. ამიტომ აღნიშნული გარემოება ხშირ შემთხვევაში არის რისკის მატარებელი.

ახალმა COVID-19 ვირუსმა, როგორც ცნობილია, მთელი მსოფლიოს ეკონომიკას სერიოზული ზიანი მიაყენა და ეს არსებითად აისახა ტურიზმზეც. ჩვენი ორგანიზაციის მოლოდინი, ისევე როგორც ამ სფეროში მოღვაწე სხვა ორგანიზაციებისა, 2020 წლის ტურისტულ სეზონთან მიმართებაში სრულიად გაუქმდა. კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, მიუხედავად ფინანსური, მორალური, თუ ეკონომიკური სირთულისა არ დაეშვა კომპანიის ლიკვიდაცია. მენეჯმენტმა შეაფასა კომპანიის მიმდინარე რესურსები, მომავლის ტენდენციები და მაქსიმალურად შეეცადა კადრების შენარჩუნებას, უცხოელ პარტნიორებთან საქმიანი ურთიერთობების გაგრძელებას და ყველა არსებული რესურსით შემდეგი წლის ტურისტული სეზონისთვის მზადებას.

დირექტორი

ალექსანდრე მამულაშვილი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფას-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-340628)

ლელა ბექაური (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-861732)

15 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო




შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	3	2,838,839	2,479,734	2,760,397
საინვესტიციო ქონება	4	-	92,544	82,262
არამატერიალური აქტივები	5	6,704	4,446	9,047
სულ გრძელვადიან აქტივები		2,845,544	2,576,725	2,851,705
მიმდინარე აქტივები				
გადახდილი გადასახადები	-	310,946	527,139	283,749
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	66,516	114,948	182,905
გადახდილი ავანსები	7	69,864	148,096	227,023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	236,445	228,319	955,766
დეპოზიტი ბანკში	8	3,414,840	9,810,397	6,651,909
ფული და ფულის ექვივალენტები	8	1,642,237	3,671,123	5,011,300
სულ მიმდინარე აქტივები		5,740,848	14,500,022	13,312,652
სულ აქტივები		8,586,391	17,076,747	16,164,357
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		8,260,500	16,329,029	14,947,515
სულ კაპიტალი		8,262,500	16,331,029	14,949,515
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	85,855	534,874	783,732
მიღებული ავანსები	9	238,036	209,593	427,406
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	1,251	3,703
სულ მიმდინარე ვალდებულებები		323,891	745,717	1,214,842
სულ ვალდებულებები		323,891	745,717	1,214,842
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		8,586,391	17,076,747	16,164,357

დირექტორი

15 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო



შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	35,471,369	52,237,412
სხვა საოპერაციო შემოსავალი			31,904
მთლიანი მოგება		35,471,369	52,269,316
მიწოდების ხარჯი	11	(24,726,051)	(34,868,158)
საოპერაციო ხარჯები	12	(1,024,534)	(1,033,072)
ხელფასის ხარჯი		(1,667,148)	(2,612,380)
ცვეთის ხარჯი		(323,256)	(361,391)
საოპერაციო მოგება		7,730,380	13,394,315
არასაოპერაციო შემოსავალი		70,496	243,000
ფინანსური შედეგი ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან		(3,235)	(46,984)
საპროცენტო შემოსავალი		148,466	367,789
მოგება-ზარალი საკუთრო სხვაობიდან		382,573	1,014,888
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		598,300	1,578,693
მოგება დაბერგვამდე		8,328,680	14,973,008
მოგების გადასახადი		(8,467)	(496,429)
წმინდა მოგება		8,320,213	14,476,579
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		8,320,213	14,476,579

დირექტორი

15 სექტემბერი 2020
 თბილისი, საქართველო



შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა
 ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	8,260,500	8,262,500
წმინდა მოგება		8,320,213	
დივიდენდის განაწილება	-	(251,684)	
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	16,329,028	16,331,028
წმინდა მოგება		14,476,579	
დივიდენდის განაწილება		(15,858,094)	
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	14,947,514	14,949,514

დირექტორი

15 სექტემბერი 2020
 თბილისი, საქართველო



შპს ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2018	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	8,320,213	14,476,579
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	8,467	496,429
ცვეთის ხარჯი	323,256	361,391
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(382,573)	(1,014,888)
ანარიცხების დარიცხვა/ამოტრიალება	-	7,313
ფინანსური შემოსავალი	(148,466)	(367,789)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	8,120,897	13,959,034
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	199,282	(592,718)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(48,433)	(67,957)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(78,232)	(78,927)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	(224,660)	(253,039)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(28,444)	217,814
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	336,790	57,854
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	8,277,201	13,242,061
მიღებული საპროცენტო სარგებელი	148,466	367,789
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	8,425,666	13,609,850
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(54,437)	(636,371)
ცვლილებები დეპოზიტებში	(6,387,387)	3,382,820
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6,441,824)	2,746,449
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	(251,684)	(15,858,094)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(251,684)	(15,858,094)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	296,727	841,971
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	2,028,885	1,340,177
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	1,642,237	3,671,123
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	3,671,122	5,011,300

დირექტორი

15 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო



საანგარიშგებო პერიოდში კომპანიაში სრულ განაკვეთზე დასაქმებულია საშუალოდ --- თანამშრომელი, რომელთა შორისაც უფლება-მოვალეობები გადანაწილებულია შესაბამისად. კომპანია აცნობიერებს მათ წვლილს მიღებულ ფინანსურ და არა ფინანსურ შედეგებში და მუდმივად ორიენტირებულია მათ განვითარებაზე. პერიოდულად ახორციელებს თანამშრომელთა გადამზადებას და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს, რათა მოახდინოს შესაძლო ხარვეზების პრევენცია. მომსახურების შინაარსიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიდების და ტურის მძღოლების შესაბამისი ქცევები ტურების დროს, ამის შესაფასებლად კი მენეჯმენტი იყენებს მომსახურების ბოლოს შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემას, რა დროსაც მომხმარებლებს თავისუფლად შეუძლიათ გამოხატონ თავისი შეხედულებები და დააფიქსირონ მიღებული შთაბეჭდილებები.

კომპანიის რისკები

კომპანიის ფუნქციონირებას და ზრდას არსებით რისკებს უქმნის ქვეყნის წინაშე არსებული რისკები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს ტურისტების ქცევაზე და მათ ინტერესზე.

კომპანიის ძირითადი საკმთანობიდან გამომდინარე, საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში და მომწოდებელ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურად არა სტაბილურ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს როგორც გაყიდვებზე, ისე შესყიდვებზე. ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის მეზობელ ქვეყნებში არსებული საომარი მოქმედებები მნიშვნელოვნად ამცირებს მოთხოვნას და ტურისტების შემოსვლას. ამიტომ აღნიშნული გარემოება ხშირ შემთხვევაში არის რისკის მატარებელი.

ახალმა COVID-19 ვირუსმა, როგორც ცნობილია, მთელი მსოფლიოს ეკონომიკას სერიოზული ზიანი მიაყენა და ეს არსებითად აისახა ტურიზმზეც. ჩვენი ორგანიზაციის მოლოდინი, ისევე როგორც ამ სფეროში მოღვაწე სხვა ორგანიზაციებისა, 2020 წლის ტურისტულ სეზონთან მიმართებაში სრულიად გაუქმდა. კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, მიუხედავად ფინანსური, მორალური, თუ ეკონომიკური სირთულისა არ დაეშვა კომპანიის ლიკვიდაცია. მენეჯმენტმა შეაფასა კომპანიის მიმდინარე რესურსები, მომავლის ტენდენციები და მაქსიმალურად შეეცადა კადრების შენარჩუნებას, უცხოელ პარტნიორებთან საქმიანი ურთიერთობების გაგრძელებას და ყველა არსებული რესურსით შემდეგი წლის ტურისტული სეზონისთვის მზადებას.

დირექტორი

ალექსანდრე მამულაშვილი

